



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახიაბერ კირტავა

14 აგვისტო 2023 წელი

N 38/36

ეგზ.: N1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის –
„მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“
ფარგლებში 2020-2021 წლებში გამოყოფილი
საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

ძირითადი ნაწილი

ტერმინები და შემოკლებები	2
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	5
 1. შესავალი	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
აუდიტის საგანი	6
აუდიტის მასშტაბი	6
აუდიტის კრიტერიუმები	7
აუდიტის მიზანი	7
აუდიტის მეთოდოლოგია	7
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	7
2. აუდიტის მიგნებები	8
დანართები	22
საკონტაქტო ინფორმაცია	26

ტერმინები და შემოკლებები

მერია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

კეთილმოწყობის სამმართველო – ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

მუნიციპალური სერვისების სააგენტო – ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

შპს – შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში 2020-2021 წლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში აუთენსიკებული დარჩა ჯამური ბიუჯეტის 14,8%, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. ამასთანავე, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ 30-წლიანი ვადით და სარეკლამო სივრცის სრულ მოცულობაზე უფლების გადაცემა წარმოშობს რისკს, რომ გრძელვადიან პერიოდში დაიკარგოს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

შესყიდვები

მშენებლობა-რეაბილიტაციაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემამ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არსებული ხარვეზების გამოვლენა, ექსპერტიზის დასკვნაში ასახული კვლევის შედეგების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შეფასება და აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად განხორციელება.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისათვის 77 შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ პროექტის მიმწოდებელზე ბიუჯეტიდან გადახდილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 265,401 ლარი, თუმცა მიღებულია ხარვეზებით შედგენილი პროექტები და რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები დადგენილ ვადებში ვერ იქნა განხორციელებული.

სახელმწიფო პირობების დაუსაბუთებელი ცვლილებები და ხარვეზებით შესრულებული სამუშაოები

ქალაქ ბათუმში, გოგოლის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები დაუსაბუთებლად არის შეცვლილი, ხოლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტში შეტანილი ცვლილებები შეუსაბამოა ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან.

გარე განათების მომსახურებაში არსებული ხარვეზები

გარე განათების მომსახურების შესყიდვის დროს სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის მითითებული წერტილების ჩართვა-გამორთვის რეგულირება და განათების ჩართვა-გამორთვის გრაფიკი. ბაზრის სრულყოფილი კვლევის გარეშე, დაუსაბუთებლად არის მიღებული გარე განათების წერტილების მომსახურების და მოწყობის სავარაუდო ფასი. ამასთანავე, პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებში, რომელიც გახდა ანაზღაურების საფუძველი, რიგ შემთხვევებში არ იდენტიფიცირდება მომსახურებასთან დაკავშირებული პარამეტრები.

არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული შესყიდვა

ქალაქ ბათუმში, ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟისა და ახალი ელექტრონული ლიფტების მონტაჟის სამუშაოების შესყიდვის პროცესში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა, არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული.

დაუდასტურებლად ანაზღაურებული ხარჯები

ქუჩების რემონტისათვის გათვალისწინებული სამშენებლო მასალების შესყიდვის, გადაზიდვის, უვარგისი გრუნტის დამუშავების და გატანის, ასევე სამუშაოს ფაქტობრივად შესრულების პერიოდის დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე, გადახდილია სამუშაოების ღირებულება.

რეკომენდაციები

ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის
მერიას

რეკომენდაცია N1. შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების რაციონალურ მართვას, ჯეროვნად შეფასდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიით დასაფინანსებელი თანხების ოდენობა. ამასთანავე, დამატებითი შემოსავლების მიღების და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, რეკლამის განთავსების უფლების გაცემის დროს გათვალისწინებულ იქნეს საბაზრო პირობების ცვლილებისადმი შესაბამისი უფლების გაცემის ვადები და სარეკლამო სივრცის ოპტიმალური მოცულობა.

რეკომენდაცია N2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დაანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას.

რეკომენდაცია N3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დაანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების საჭიროების ზუსტად და სრული მოცულობით განსაზღვრას და სახელშეკრულებო პირობების შესრულებას.

რეკომენდაცია N4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დაანერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოების სატენდერო პირობების შესაბამისად განხორციელებას. ამასთანავე, ქ. ბათუმში, გოგოლის ქუჩაზე მდებარე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების და ხიდის კონსტრუქციული ნაწილის მდგრადობის დადასტურებისათვის გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის
მერიას

ა(ა)იპ – საქალაქო
ინფრასტრუქტურისა და
კეთილმოწყობის
სამმართველოს

რეკომენდაცია N5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ დაანერგონ შიდა კონტროლის მექანიზმები, გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურებისათვის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად.

ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის
მერიას

ა(ა)იპ – საქალაქო
ინფრასტრუქტურისა და
კეთილმოწყობის
სამმართველოს

ა(ა)იპ – მუნიციპალური
სერვისების სააგენტოს

რეკომენდაცია N6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ერთგვაროვან მიდგომას.

რეკომენდაცია N7. დაანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს განსახორციელებელ სამუშაოებზე სათანადო მონიტორინგს და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით თანხების ანაზღაურებას. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სათანადო დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულ თანხებთან დაკავშირებით.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განკარგვა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონშესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2020-2021 წლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მუნიციპალიტეტის პროგრამის –

აუდიტის კრიტერიუმები

„მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობა.

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- ┐ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- ┐ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- ┐ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- ┐ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ┐ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- ┐ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- ┐ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლა-ანალიზი;
- ┐ დოკუმენტური შემოწმება;
- ┐ ფიზიკური დათვალიერება;
- ┐ ინტერვიუები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამას – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ახორციელებენ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო; ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო და ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოები. პრიორიტეტის პროგრამული კოდია: 02, სადაც განსაზღვრულია შვიდი პრიორიტეტი, კერძოდ: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება; სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება; საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება; ბინათმშენებლობა ამაღნაგობის მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი; მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა; ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა; ქალაქის კეთილმოწყობა. 2020-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში დაზუსტებული გეგმა შეადგენს 201,042,007 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი – 171,205,094 ლარს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა N25.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს. მნიშვნელოვანია, საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვა ინფრასტრუქტურული, სოციალური ან სხვა მიზანშეწონილი პროექტების დროულად განსახორციელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ ფინანსური რესურსი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით, მუნიციპალური პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში 2020-2021 წლებში დაზუსტებულმა გეგმამ – 201,042,007 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 171,205,094 ლარი შეადგინა.

ცხრილი N1. ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ

კოდი	დასახელება	2020 წელი			2021 წელი		
		დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	82 652 460	75 649 749	92%	118 389 547	95 555 345	80,7%
2	ხარჯები	26 174 280	24 156 315	92%	53 546 929	49 412 258	92,3%
2.1	შრომის ანაზღაურება	1 773 860	1 591 607	90%	1 620 500	1 534 619	94,7%
2.2	საქონელი და მომსახურება	9 394 340	8 730 247	93%	12 442 900	10 735 240	86,3%
2.5	სუბსიდიები	10 729 000	9 879 388	92%	11 968 000	11 967 989	100,0%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	13 340	3 693	28%	28 000	24 671	88,1%
2.8.2.	მიმდინარე ტრანსფერები	320 140	317 485	99%	302 029	66 074	21,9%
2.8.2.	კაპიტალური ტრანსფერები	3 943 600	3 633 894	92%	27 185 500	25 083 666	92,3%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	56 478 180	51 493 435	91%	64 842 618	46 143 087	71,2%

2020-2021 წლებში გეგმით გათვალისწინებული აუთვისებული თანხების დინამიკა ზრდადია და ეს გარემოება ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულებისათვის განხორციელებული შესყიდვის პროცედურების არასათანადო წარმართვით, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების შემცირების¹ ხარჯზე წარმოშობილი ეკონომიით, მათ შორის: „საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა“ – 14,267,624 ლარი; „სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა“ – 3,704,631 ლარი; „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ – 1,834,203 ლარი; „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ – 1,243,620 ლარი და სხვ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს გააჩნდა შეჩერებული და შეწყვეტილი²

¹ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შემცირებულია გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულების შემცირებით, ასევე მოცულობების დაზუსტებით.

² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მერის წერილით (N 25/7613; 10.04.2020), პანდემიასთან დაკავშირებით შეჩერდა 31 ერთეული ინფრასტრუქტურული ღონისძიება, მათ შორის, შეწყდა და შემდგომ პერიოდშიც არ

ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში არ განხორციელებულა და მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები (იხ. დანართი N1).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტმა“ სუბსიდიის სახით მიიღო 17,847,376 ლარი,³ მაშინ როდესაც შპს-ს, საკუთარი შემოსავლების და ხარჯების გათვალისწინებით, აუთვისებელი ნაშთი გააჩნდა, ჯამში – 4,951,845 ლარი.⁴ აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სათანადო ანალიზის გარეშე განისაზღვრა გასაცემი სუბსიდიის მოცულობა.

შპს-ის საკუთარი შემოსავლების ზრდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით დასაფინანსებელი თანხების შემცირების ერთ-ერთი საფუძველია. აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ აუდიტის პერიოდში შპს-ს, მის საკუთრებაში არსებული მუნიციპალური ავტობუსების გარე ფასადი – 5,154.3 კვ.მ ფართი, ელექტრონული აუქციონით, რეკლამის განთავსების უფლების მიღებისათვის, 2020 წელს გაცემული აქვს 30 წლის ვადით და ერთჯერადი გადახდით მიღებული აქვს 4,100,000 ლარი.⁵ შედეგად, მთლიანი სარეკლამო ფართის ოცდაათწლიანი ვადით უფლების გადაცემა მაშინ, როდესაც ასეთ გრძელვადიან პერიოდში რადიკალურად იცვლება საბაზრო პირობები, შესაძლოა შპს-ს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობის დაკარგვა განაპირობოს, ამასთანავე, ვერ იქნეს უზრუნველყოფილი პროცესისადმი მოცემულ ბაზარზე ოპერირებადი სხვა სუბიექტების დაინტერესების ზრდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში აუთვისებელი დარჩა ჯამური ბიუჯეტის 14,8%, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. ამასთანავე, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ 30-წლიანი ვადით და სარეკლამო სივრცის სრულ მოცულობაზე უფლების გადაცემა წარმოშობს რისკს, რომ გრძელვადიან პერიოდში დაიკარგოს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების რაციონალურ მართვას, ჯეროვნად შეფასდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიით დასაფინანსებელი თანხების ოდენობა. ამასთანავე, დამატებითი შემოსავლების მიღების და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, რეკლამის განთავსების უფლების გაცემის

განხორციელებულა: აქტივების შეძენა-მომტაყის; სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერის მოწყობის; მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავებზე თოვლდამჭერების წყალშემკრები და წყალსაწრეტი ღარების მოწყობის და საჭიდაო მოედნების რეაბილიტაციის ღონისძიებები.

³ 2020 წელს - 7,879,387 ლარი; 2021 წელს - 9,967,989 ლარი, ჯამში - 17,847,376 ლარი.

⁴ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 3,286,217 ლარი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1,665,628 ლარი.

⁵ ელექტრონული აუქციონი N670927, 05.08.2020, უფლების მიმღები შპს „ალმა“, ს/კ 204873388. აუქციონის პირობებით ავტობუსებზე განთავსებული სარეკლამო მასალის შინაარსს განსაზღვრავს უფლების მიმღები - შპს „ალმა“. გადახდა: 1,200,000 ლარი (14.08.2020); 2,900,000 ლარი (30.10.2020).

დროს გათვალისწინებულ იქნეს საბაზრო პირობების ცვლილებისადმი შესაბამისი უფლების გაცემის ვადები და სარეკლამო სივრცის ოპტიმალური მოცულობა.

2.2 შესყიდვები

2.2.1 მშენებლობა, რეაბილიტაციაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის დაფინანსებით შესყიდული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასრულების შემდეგ,⁶ სამუშაოების მიღება უნდა განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის⁷ წარმოდგენის საფუძველზე. შესყიდვასთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების⁸ პირობებით, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ აკრედიტებული ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რითაც დასტურდება ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე, შემსყიდველის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით, შესრულებულად ნაჩვენებია და მიმწოდებელს აუნაზღაურდა 54,989,500 ლარი,⁹ მათ შორის, ფარული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 24,653,999 ლარს.

მიღება-ჩაბარების ეტაპზე წარმოდგენილი ექსპერტის¹⁰ დასკვნით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ ინსპექტირების წინაშე სრულყოფილად არ იქნა დასმული სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული შევითხვა ინსპექტირების სფეროსთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ ექსპერტს დაედასტურებინა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, დასმულია მხოლოდ ერთი შევითხვა – შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ის ინსპექტირებასთან მიმართებით. ინსპექტირების ანგარიშების საფუძველზე გადახდილია შესრულებული სამუშაოების ღირებულება, თუმცა წარმოდგენილი ანგარიშებით არ დასტურდება შესრულებაში მითითებული ფარული სამუშაოების მოცულობა და ფარულ სამუშაოებზე გამოყენებული მასალების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა, კერძოდ, გამოყენებული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმას და სტანდარტს.

ანგარიშების მიხედვით, ექსპერტის მიერ აზომვები ჩატარდა მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე, ხოლო ის სამუშაოები, რომლებიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას და რომელთა ზუსტი მოცულობების დადგენა ინსპექტირების ჩატარების პერიოდისთვის ტექნიკურად შეუძლებელი იყო,¹¹ ექსპერტმა გაითვალისწინა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ფარული სამუშაოების აქტების მიხედვით, თუმცა

⁶ შესყიდვას ახორციელებს ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

⁷ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიღება-ჩაბარების აქტები; ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმებს და სტანდარტს. ამასთანავე, ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო საგანი უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის.

⁸ ხელშეკრულება N25, 10.03.2020 წელი - 2,160,136 ლარი; ხელშეკრულება N32, 18.03.2020 წელი - 1,749,999 ლარი; ხელშეკრულება N33, 18.03.2020 წელი - 1,915,812 ლარი; ხელშეკრულება N47, 15.04.2020 წელი - 1,622,783 ლარი და სხვ.

⁹ სულ განხორციელებული 81 ერთეული ინფრასტრუქტურული პროექტიდან, შერჩეულია 37 ერთეული.

¹⁰ აკრედიტებული პირი.

¹¹ ექსპერტის და მერიის ზედამხედველი პირების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აზომვის და ფარულ სამუშაოებში გამოყენებული მასალების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დოკუმენტები.

რიგ შემთხვევებში¹² ფარული სამუშაოს აქტების რიგითი ნომერი და სამუშაოს შესრულების აქტის შედგენის თარიღი ურთიერთშეუსაბამოა. ამასთანავე, ერთი დღის შესრულებაში ნაჩვენებია ისეთი დიდი მოცულობის სამუშაოები, რომლის ფაქტობრივად შესრულება მაღალი რისკის შემცველია¹³ (იხ. დანართი N2).

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემამ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არსებული ხარვეზების გამოვლენა, ექსპერტიზის დასკვნაში ასახული კვლევის შედეგების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შეფასება და აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად განხორციელება.

რეკომენდაცია N2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას.

2.2.2 საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციების შესაბამისად,¹⁴ სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპით, სათანადო დაგეგმვის საფუძველზე. მერიის ინფრასტრუქტურული ღონისძიების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან¹⁵ დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით,¹⁶ მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაო შეასრულოს სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით. პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე დეფექტური აქტებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას, პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით. ამასთანავე, მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად შედგენა-დამუშავებაზე.

¹² ხელშეკრულება N42, 11.05.2021 წელი, შპს „ბონდი - 2009“: 2021 წლის 5 დეკემბერს შედგენილია N70 და N71 ფარული სამუშაოს აქტები და ნაჩვენებია შესრულებაში 219,3 კვ.მ მწვანე კორდის მოწყობის სამუშაოები, ხოლო 2021 წლის 20 დეკემბერს შედგენილია აქტები: N67, N68, N69 და ნაჩვენებია შესრულებაში ასფალტის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულება N47, 15.04.2020 წელი, შპს „ნიუპოვერ“: 2020 წლის 8-9 ოქტომბერი - ფარული სამუშაოს აქტები: N51 და N54, ნაჩვენებია შესრულებაში მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარის მოწყობა 3,604 კვ.მ-ზე. 2020 წლის 28-29 ოქტომბერი, აქტები: N52 და N53, ნაჩვენებია შესრულებაში წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის მოწყობა 4,340 კვ.მ-ზე.

¹³ ხელშეკრულება N42, 11.05.2021 წელი, შპს „ბონდი - 2009“: 23.11.2021 წელი - ფარული სამუშაოს აქტები: N64 და 65 - ქვიშის ნარევის შეტანა 1,106,97 კუბ.მ; გზის სავალ ნაწილზე 20 სმ სისქის ქვიშა-ხრეშით საფუძვლის მოწყობა - 4,460 კვ.მ; საფუძვლის პროფილზე მოყვანა 4,460 კვ.მ; 25.11.2021 - ფარული სამუშაოს აქტი N66 - ფრაქციული ღორღის შეტანა 854,35 კუბ.მ; ფრაქციული ღორღით 15 სმ სისქის შემასწორებელი ფენის მოწყობა 4,460 კვ.მ; 20.12.2021 წელი - ფარული სამუშაოს აქტები: N67, N68, N69 - ბითუმის ემულსიის მოსხმა 4,460 კვ.მ; მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონის 7 სმ სისქის საფარის მოწყობა - 4,460 კვ.მ; ა/ბეტონის I ფენის ზედაპირზე ბითუმის ემულსიის მოსხმა - 4,460 კვ.მ.

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

¹⁵ გასაწევი მომსახურება მოიცავს: საპროექტო სამუშაოები; სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა; სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება; ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება; გეოლოგიური გამოკვლევა.

¹⁶ ხელშეკრულებები: შპს „აჭარსპეცპროექტი“, N228, 15.12.2017 წელი; შპს „ხობი 2005“, N231, 15.12.2017 წელი; ი/მ რევაზ დიდმანიძე, N123, 25.12.2018 წელი; შპს „ხობი 2005“, N159, 26.12.2019 წელი; შპს „ხობი 2005“, N64, 18.04.2019 წელი და სხვ.

ფაქტობრივი გარემოება: ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის მერიის მიერ შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით,¹⁷ სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 84,676,973 ლარით. შესყიდვის პროცედურები განხორციელდა 77 შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე. ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შემცირდა 11,092,234 ლარით და შეადგინა 73,584,739 ლარი, ხოლო ხელშეკრულებებში სისტემატურად განხორციელებული ცვლილებებით და საბოლოოდ, ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით, რეალური ფასი კვლავ შემცირდა 5,202,345 ლარით და შეადგინა 68,382,394 ლარი, ანუ ჯამში პროექტებით განსაზღვრულ ფასსა და ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ფასს შორის სხვაობამ არანაკლებ 19,24%, ანუ 16,294,579 ლარი შეადგინა. მიუხედავად აღნიშნულისა, შემსყიდველს შესაბამისი აქტივობა¹⁸ არ განუხორციელებია და პროექტის ავტორებზე გადახდილია სრული სახელშეკრულებო ღირებულება, ჯამში – არანაკლებ 265,401 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ შესასრულებელი სამუშაოების ფასების შემცირება, ძირითადად, საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზით შედგენამ განაპირობა. არასრულყოფილად შედგენილი პროექტების გამო, სისტემატურად იცვლება ხელშეკრულებათა პირობები, დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები და არსებული სამუშაოების შემცირების ხარჯზე დამატებულია სხვა ახალი სამუშაოები, კერძოდ:

ქალაქ ბათუმში, სანიაღვრე არხების მოწყობის¹⁹ სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულება,²⁰ შესყიდულია საპროექტო დოკუმენტაცია და გადახდილია ჯამში – 16,271 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროექტის საფუძველზე განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვა და გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გზები“ და 1,688,496 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე გაფორმებულია ხელშეკრულება.²¹ ამავე დროს, სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულებაში ცვლილება სხვადასხვა მოტივით 5-ჯერ განხორციელდა. კერძოდ, შეიცვალა მიწების სახეობა და პარამეტრები, შემცირებულია სანიაღვრე არხის, სანიაღვრე ჭების და გადახურვის ფილების მოცულობები. აღნიშნული ხარვეზების მიხედვით, შემცირებულია პროექტით გათვალისწინებული ცალკეული სამუშაოს დასახელება და ღირებულება ჯამში – 471,640 ლარს შეადგენს, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი სამუშაოების 22%-ია. ანალოგიური ხარვეზებია დაშვებული ქალაქ ბათუმში ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების²² საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას, კერძოდ:

¹⁷ აუდიტის პერიოდში 98 შემთხვევაში შესყიდული 98 საპროექტო მომსახურება.

¹⁸ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროდან შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%.

¹⁹ დიდაჭარის და ჯაყელის ქუჩები, აკაკი შანიძის პირველი და მესამე ჩიხი.

²⁰ პროექტის ავტორები: შპს „აჭარსპეცპროექტი“ - NAT 170013424 და NAT 160003870; ი/მ რევაზ დიდმანიძე - NAT 150032471.

²¹ NAT 200000917, ხელშეკრულება N25, 10.03.2020 წელი, სავარაუდო ფასი - 2,185,092 ლარი, ხელშეკრულების ფასი - 2,160,136 ლარი, საბოლოო ფასი - 1,688,496 ლარი.

²² NAT 200002190, სავარაუდო ღირებულება - 2,284,289 ლარი, შპს „ზიმო-7“, ხელშეკრულება N33, 18.03.2020 წელი, NAT 200011245, სავარაუდო ღირებულება - 3,047,510 ლარი; შპს „პალადა“, ხელშეკრულება N71, 05.10.2020 წელი.

) ქუჩების კეთილმოწყობისა და რეაბილიტაციის²³ სამუშაოების სავარაუდო ღირებულება ჯამში შეადგენს 3,045,510 ლარს, სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე ხელშეკრულებაში ოთხჯერ განხორციელდა ცვლილება, საბოლოო ფასი განისაზღვრა 2,143,575 ლარით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით²⁴ დადგინდა, რომ პროექტის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოები შეუსაბამო აღმოჩნდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოცულობებთან. შედეგად, შეიცვალა მიწის ვაკისის, საგზაო სამოსის, ხელოვნური ნაგებობების, მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოების მოცულობები და პარამეტრები. ამასთანავე, ქალაქ ბათუმში, ცენტრალური პარკის გარე განათების მოწყობის სამუშაოების ხელშეკრულება²⁵ ითვალისწინებდა 775,000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებას, თუმცა პროექტში არსებული ხარვეზების გამო, სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული 638,273 ლარის სამუშაოები ფაქტობრივად არ შესრულებულა.²⁶

დასკვნა

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისათვის 77 შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ პროექტის მიმწოდებელზე ბიუჯეტიდან გადახდილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 265,401 ლარი, თუმცა მიღებულია ხარვეზებით შედგენილი პროექტები და რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები დადგენილ ვადებში ვერ იქნა განხორციელებული.

რეკომენდაცია N3

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების საჭიროების ზუსტად და სრული მოცულობით განსაზღვრას და სახელშეკრულებო პირობების შესრულებას.

²³ ხელშეკრულება N71, დიმიტრი სვიშევსკის ქუჩის, დიმიტრი სვიშევსკის I შესახვევის, I და II ჩიხის, აფსაროსის გზატკეცილის II შესახვევის N1-დან 23-მდე მონაკვეთების კეთილმოწყობა.

²⁴ შეთანხმება N2, 23.12.2020 წელი; შეთანხმება N3, 21.01.2021 წელი.

²⁵ NAT200020610, მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი, უმცირესი ფასით გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მაიჯიპიისი“, ხელშეკრულება N11, 04.02.2021 წელი, ხელშეკრულების ღირებულება - 775,000 ლარი.

²⁶ საერთოდ არ შესრულებულა ქალაქ ბათუმში, ცენტრალურ პარკში ნეონის მანათობლებით დეკორატიული განათების მოწყობა, რომელიც მოიცავს მიწის, ელექტროსადენების, ელექტროგამანაწილებელი კოლოფების და 6,260 გრძ.მ-ზე ნეონის მანათობელი ლენტის მოწყობას.

2.2.3 სახელშეკრულებო პირობების დაუსაბუთებელი ცვლილებები და ხარვეზით შესრულებული სამუშაოები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,²⁷ სახელმწიფო შესყიდვის ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.

ფაქტობრივი გარემოება: ქალაქ ბათუმში, გოგოლის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოების²⁸ შესრულებისათვის, კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ 2021 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²⁹ მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, შპს „ბონდი-2009“ და, შესაბამისად, ის გამოვლინდა გამარჯვებულად. გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებელს 2021 წლის 15 დეკემბრამდე უნდა შეესრულებინა 2,582,697 ლარის ღირებულების სამუშაოები. სატენდერო დოკუმენტაციით, გოგოლის ქუჩაზე მდებარე ხიდის (ე.წ. ბარცხანის ხიდი) რეაბილიტაციის სამუშაოები ითვალისწინებდა ლითონის სპეცპროფილებით, რეზინის ფასონური ფურცლებით, ლითონის ფურცლებით და არმატურით ხიდის სადეფორმაციო ნაკერების (MAURER) მოწყობას.

მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებებით,³⁰ სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობების შეუსაბამოდ, ხელშეკრულებაში ცვლილებები დაუსაბუთებლად განხორციელდა. კერძოდ, სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული კონსტრუქცია შეცვლილია დახურული ტიპის სადეფორმაციო ნაკერის მოწყობით,³¹ ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების დღეს, 15 დეკემბერს, შეიცვალა სამუშაოს დასრულების ვადა და განისაზღვრა 2021 წლის 28 დეკემბერი.³²

უნდა აღინიშნოს, რომ გოგოლის ქუჩაზე მდებარე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაში შესატან ცვლილებებზე, ექსპერტი³³ წარდგენილი არგუმენტებით მიუღებლად თვლის ცვლილებებს³⁴ და მოითხოვს დამატებით დასაბუთებას, მათ შორის მიუთითებს, რომ თუ მალეში გამონოლითებულია (გადაბმულია ხისტი კვანძით), ეს მნიშვნელოვანი დარღვევაა, რითაც იცვლება საანგარიშო სქემა, საჭიროა ხიდის მალეშს შორის მოეწყოს სადეფორმაციო ნაკერები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მოთხოვნით, 2021 წლის 20 დეკემბერს განმეორებით წარმოდგენილია მეორე დასკვნა, სადაც ექსპერტი მიუთითებს, რომ პროექტში ცვლილებები უნდა განხორციელდეს წინა პერიოდის დასკვნით გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

ექსპერტის დასკვნის გაცემიდან 7 დღეში, 2021 წლის 27 დეკემბერს, მხარეებს შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და შესრულებულად ნაჩვენებია დარჩენილი 941,247 ლარის ღირებულების სამუშაოები. ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.³⁵ შესაბამისად, ექსპერტის დასკვნით დგინდება, რომ განხორციელებული სამუშაოები ვერ

უზრუნველყოფს ხიდის კონსტრუქციული ნაწილის მდგრადობის გაუმჯობესებას, რაც სამუშაოების პროექტთან შეუსაბამოდ განხორციელებაზე მიუთითებს.

გარდა აღნიშნულისა, აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ ქალაქ ბათუმში, გაგარინის, აკაკი შანიძის, გონიო-აფსაროსის და ზოდელავას ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების მშენებლობისათვის მიმწოდებელზე გადახდილია შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 74,579 ლარი, თუმცა სამუშაოები არასრულყოფილად არის შესრულებული.³⁶

დასკვნა	ქალაქ ბათუმში, გოგოლის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები დაუსაბუთებლად არის შეცვლილი, ხოლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტში შეტანილი ცვლილებები შეუსაბამოა ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან.
რეკომენდაცია N4 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოების სატენდერო პირობების შესაბამისად განხორციელებას. ამასთანავე, ქ. ბათუმში, გოგოლის ქუჩაზე მდებარე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების და ხიდის კონსტრუქციული ნაწილის მდგრადობის დადასტურებისათვის გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

²⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 და 27-ე მუხლები.

²⁸ სამუშაოები რეგულირდება შპს „ბონდი - 2009“-სთან გაფორმებული N31 ხელშეკრულებით (16.04.2021 წელი), ხელშეკრულების ღირებულება - 2,582,697 ლარი, ფაქტობრივი შესრულება - 2,575,924 ლარი.

²⁹ NAT210004234, სავარაუდო ღირებულება - 2,718,690 ლარი.

³⁰ სულ გაფორმებულია 4 შეთანხმება: შეთანხმება N1 (08.07.2021 წელი) - შეიცვალა ტექნიკური ზედამხედველი; შეთანხმება N2 (17.09.2021 წელი) - შეიცვალა გოგოლის ქუჩაზე მდებარე ხიდის რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვა. კერძოდ, სპეცპროფილები და მეტალის კონსტრუქციები შეცვლილია ფოროვანი შემავსებლებით და პოლიმერული მემბრანით.

³¹ მიმწოდებლის ინფორმაციით, პროექტით გათვალისწინებული კონსტრუქცია მზადდება გერმანიაში და საქართველოს ბაზარზე მისი მოძებნა შეუძლებელია, თუმცა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. ამასთანავე, აღნიშნული მოტივით შესასრულებელი სამუშაოების შეცვლას სატენდერო წინადადება არ ითვალისწინებს.

³² შეთანხმება N3 (15.12.2021 წელი) - შეიცვალა სამუშაოს შესრულების ვადა 2021 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით, იმ მოტივით, რომ მიმწოდებელმა ვერ წარმოადგინა კონსტრუქციულ ნაწილზე კორექტირებული დოკუმენტაციის ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა შემდგომში მოწოდებული დასკვნის შედეგები მიმწოდებელს არ გაუთვალისწინებია და დასკვნის მიღებამდე აგრძელებდა სამუშაოებს, რაც წარმოშობს რისკებს, რომ დასკვნის მოტივით მხარეებმა თავი აარიდეს პირგასამტეხლოს დაკისრებას; კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული კალენდარული დღისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების (დარჩენილი) შესაბამისი ღირებულების 0,5% ოდენობით, რაც მოცემული გარემოებისათვის შეადგენს: 941,247 ლარი*05%*12 დღე = 56,474 ლარი.

³³ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N008177521 (24.11.2021 წელი) დასკვნით წარდგენილი არგუმენტებით - ცვლილება მიუღებელია, ხოლო დასკვნაში N008842721 (20.12.2021 წელი) აღნიშნულია, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს N008177521 დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

³⁴ ცვლილებები: ხარჯთაღრიცხვიდან შუალედურ ბურჯებზე რკინაბეტონის პერანგის მოწყობის ნაცვლად მალთაშორის გამონოლითების აღდგენა; ანაკრები კონსტრუქციის ტროტუარის ბილიკების ნაცვლად, მონოლითური ტროტუარის მოწყობა; ხიდის სავალ ნაწილზე 4 სმ სისქის ასფალტის ფენის და შემდეგ 4 სმ სისქის ორი ძირითადი ასფალტის საფარის (სულ: 12 სმ) მოწყობა.

³⁵ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ინსპექტირების ანგარიშები წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოების ღირებულების, შესრულებული სამუშაოების აქტთან (ფორმა N2) შესაბამისობაზე.

³⁶ ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის პირველ ჩიხთან არსებულ სანიაღვრე არხზე სრულყოფილად არ არის მოწყობილი თუჯის ცხურა-ლუქები; გონიო-აფსაროსის N1-დან N23-მდე მონაკვეთზე მოწყობილი მონოლითური სანიაღვრე არხზე გადახურული მონოლითური რბეტონის ფილებს შორის დარჩენილია ღიობები; გაგარინის ქუჩის მონაკვეთში ფეხით მოსიარულეთა სავალ ბილიკზე დეკორატიული ფილები რიგ ადგილებში ამოყრილია, უსწორმასწოროა, ასევე დამტვრეულია ბორდიურები.

2.2.4 გარე განათების მომსახურებაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ქალაქ ბათუმში, გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურება რეგულირდება შპს „აჭარგანათებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით.³⁷ სატენდერო დოკუმენტაციით და ხელშეკრულებით, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია, მათ შორის, სადენების შეერთების და საპაერო ხაზების ყოველდღიური შემოწმება, დაზიანებული კაბელის შეცვლა, დაზიანების აღმოფხვრა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძებისა და გამანაწილებელი კარადების დანომვრა, ქუჩების მიხედვით დანომრილი გარე განათების ბოძების რუკაზე გადატანა და სხვ. ასევე 2021 წელს უნდა უზრუნველყოს დეკორატიული განათების მოწყობა.³⁸

ფაქტობრივი გარემოება: მერია³⁹ ყოველწლიურად ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას და 2020-2021 წლებში, ჯამში გადახდილია 4,867,931 ლარი. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობის შეთავაზებით, გამარჯვებულად ორივე წელს გამოვლინდა შპს „აჭარგანათება“,⁴⁰ რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტებით წინა წლებშიც იყო გამარჯვებული და ახორციელებდა ანალოგიურ მომსახურებას. შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობები, შესაძლოა, ზღუდავდეს კონკურენციას, კერძოდ:

„განხორციელებული შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაციით,⁴¹ 2020 წელს განსაზღვრულია გარე განათების წერტილების განათების საათობრივი გრაფიკი, რომლის თანახმად, განათებული უნდა იყოს, მაგალითად: თებერვალში – 13 საათის განმავლობაში, 18:30-დან 7:30 სთ-მდე, აპრილში – 10 საათის განმავლობაში, 21:00-დან 7:00 სთ-მდე, ივნისში – 8 საათის განმავლობაში, 22:00-დან 6:00 სთ-მდე, ნოემბერში – 13 საათის განმავლობაში, 18:30-დან 7:30 სთ-მდე და სხვ. განათების წერტილის ჩართვა-გამორთვა უმეტესწილად ფოტორელეს საშუალებით რეგულირდება, თუმცა აღნიშნული შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის მითითებული, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ყოველწლიურად, სავარაუდოდ – 23,914 წერტილის⁴² ადამიანური რესურსით განათება უფრო მეტ ხარჯთან არის დაკავშირებული, ვიდრე ფოტორელეს საშუალებით განხორციელებული მომსახურება.

2021 წელს განხორციელებული შესყიდვის სატენდერო პირობებსა და ხელშეკრულებაში⁴³ არ არის ასახული გარე განათების წერტილების საათობრივი განათების გრაფიკი და ასევე ფოტორელეს საშუალებით განხორციელებული მომსახურება, ხელშეკრულებაში კი განათების გრაფიკის დარღვევისათვის

³⁷ NAT200001066, ხელშეკრულება N18, 21.02.2020 წელი, ღირებულება - 1,449,922 ლარი, ფაქტობრივი შესრულება - 1,359,790 ლარი; NAT200018806, ხელშეკრულება N08, 27.01.2021 წელი, ღირებულება - 1,450,000 ლარი, ფაქტობრივი შესრულება - 1,449,872 ლარი; NAT210012524, ხელშეკრულება N76, 17.08.2021 წელი, ღირებულება - 2,060,000 ლარი, ფაქტობრივი შესრულება - 2,058,269 ლარი. ჯამში სავარაუდო ღირებულება - 4,959,922 ლარი, ფაქტობრივი გადახდა - 4,867,931 ლარი.

³⁸ თამარის დასახლებაში სანაპიროს გასწვრივ რესტორან „ოქროს თევზიდან“ რესტორან „რივიერამდე“.

³⁹ შესყიდვას ახორციელებს ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

⁴⁰ ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი.

⁴¹ NAT200001066, ხელშეკრულება N18, 21.02.2020 წელი.

⁴² წერტილების რაოდენობა მითითებულია მხოლოდ სატენდერო წინადადებასა და ხელშეკრულებაში.

⁴³ NAT210012524, ხელშეკრულება N76, 17.08.2021 წელი.

გათვალისწინებულია თითოეულ ფაქტზე 20 ლარი. აღნიშნული გარემოებები პრეტენდენტის შესაძლო შეზღუდვის რისკებს წარმოშობს.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დარღვევა-ნაკლოვანებები ასახულია აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ 2017-2019 წლების პერიოდის აუდიტის ანგარიშებში და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

სატენდერო დოკუმენტაციით, განათების წერტილების ყოველდღიური მოვლა-ექსპლუატაცია მოიცავს განათების წერტილზე სადენების და საჰაერო ხაზების ყოველდღიურ შემოწმებას, სანათების დამჭერების რეგულარულად შემოწმებას, სადენების შეერთებების დათვალიერება - გაწმენდას და სხვა სამუშაოებს. ამასთანავე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ქუჩების მიხედვით, ქალაქის ტერიტორიაზე გარე განათების ბოძების და გამანაწილებელი კარადების დანომვრა.⁴⁴ წარმოდგენილი დოკუმენტებით ნუმერაცია არ განხორციელებულა. განათების წერტილების მომსახურებასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა 2020 წელს - 22,001 წერტილზე და 2021 წელს - 23,911 წერტილზე, თუმცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემებით,⁴⁵ ბალანსზე ირიცხება 6,300 ცალი განათების ბოძი⁴⁶ და 30 შემთხვევაში გარე განათების დაუმთავრებელი სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება განათების წერტილების ფაქტობრივი რაოდენობის სისწორეზე და მასთან დაკავშირებით ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე.

განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისათვის ბაზრის კვლევა 2020 წელს სრულყოფილად არ განხორციელებულა, ხოლო 2021 წლის შესყიდვაზე, პრეტენდენტებთან წარდგენილია მხოლოდ შესასრულებელი სამუშაოს პრეისკურანტის ფასი; სავარაუდო ფასის განსაზღვრის და შეფასების კრიტერიუმი და დოკუმენტები არ არის მოთხოვნილი და, შესაბამისად, წარმოდგენილი. აღნიშნული მიუთითებს, რომ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგებით შესყიდვის სავარაუდო ფასის განსაზღვრა არარელევანტურია. შექმნილ პირობებში, შემსყიდველმა არ შეაფასა გასული და მიმდინარე წლის ბაზრის კვლევის შედეგების რეალურ მდგომარეობასთან შესაბამისობა და დაუსაბუთებლად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა 4,959,922 ლარი.

მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ნაჩვენებია შესრულებაში სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე მასალების⁴⁷ შეცვლის და მონტაჟის სამუშაოები და გადახდილია მიმწოდებელზე 3,309,618 ლარი,⁴⁸ მათ შორის: 2021 წლის 27 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულებით⁴⁹ გათვალისწინებული იყო 2021 წლის 31 დეკემბრამდე გარე განათების წერტილების

⁴⁴ NAT 1900000125 - 2019 წელი; NAT 200001066 - 2020 წელი; NAT 200018806 - 2021 წელი.

⁴⁵ განათების ქსელი ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებაა.

⁴⁶ ვიზუალური დათვალიერებით, ბოძებზე დამონტაჟებულია ერთი ან ორი ნათურა/წერტილი, რაც ჯამში შეადგენს არაუმეტეს 12,600 წერტილს.

⁴⁷ ნათურები სიმძლავრით: 250W, 150w, 70w და სხვ. ანალოგიურად ნაჩვენებია შეცვლაში სხვადასხვა მახასიათებლის იგნატორი, დროსელი, ელექტროსადენი და სხვა მასალები. ცალკეული მასალის ფასი განსაზღვრულია სიმძლავრის და სხვა მახასიათებლების მიხედვით (დიოდური, ჰალოგენური, ალუმინის, სპილენძის და სხვ.).

⁴⁸ ხელშეკრულება N18, 21.02.2020 წელი - 1,359,790 ლარი; ხელშეკრულება N8, 27.01.2021 წელი - 1,449,872 ლარი; ხელშეკრულება N76, 17.08.2021 წელი - 499,956 ლარი. ჯამში: 3,309,618 ლარი. N76 ხელშეკრულებით რაბილიტაციისათვის გადახდილია 1,558,313 ლარი.

⁴⁹ NAT 200018806, ხელშეკრულება N8, 27.01.2021 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება - 1,450,000 ლარი, გადახდილია - 1,449,872 ლარი.

მოვლა-ექსპლუატაციის სამუშაოები და გახარჯულია 1,449,872 ლარი, თუმცა 2021 წლის აგვისტოში მეორედ გაფორმებული ხელშეკრულების⁵⁰ საფუძველზე დამატებით არის გახარჯული 499,956 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება შესაძლო შესაცვლელი მასალების რაოდენობა,⁵¹ სატენდერო დოკუმენტაციაში ასახული პარამეტრების მასალების ფაქტობრივი საჭიროება, ასევე მასალების ფაქტობრივად ხარჯვის ადგილი და დრო.⁵² ამასთანავე, 2020 წელს ხელშეკრულებაში სამ შემთხვევაში დაუსაბუთებლად განხორციელდა ცვლილებები⁵³ და შეიცვალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასალების სახეობები და მახასიათებლები. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მაღალია რისკი იმისა, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მასალების პარამეტრები, ოდენობა და ფასი მიმწოდებლის ინტერესებზეა მისადაგებული. განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, 2020 წელს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში, შესრულებული სამუშაოს დასახელებაში, გაერთიანებულად არის ნაჩვენები და შეფასებული სხვადასხვა დასახელების სამუშაო⁵⁴ შესრულება და გადახდილია მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ჯამში - 485,170 ლარი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება, ფაქტობრივად რა ოდენობის მოწყობილობები შეკეთდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მაღალია რისკი იმისა, რომ მიმწოდებელს ელექტრომოწყობილობების შეძენა, შეცვლა და მონტაჟი, შესრულებაში ნაჩვენები ღირებულების შესაბამისად არ განუხორციელებია.

) თამარის დასახლებაში, გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე⁵⁵ ერთი პრეტენდენტის პირობებში გამარჯვებულ პირთან⁵⁶ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადახდილია 1,558,269 ლარი. აუდიტის პერიოდში შემსყიდველის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის, ხარისხის და სავარაუდო ღირებულების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები.⁵⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დგინდება ბიუჯეტიდან გადახდილი თანხის ფაქტობრივ ღირებულებასთან შესაბამისობა.

⁵⁰ NAT 210012524, ხელშეკრულება N76, 17.08.2021 წელი. სულ ხელშეკრულების ღირებულებაა 2,060,000 ლარი, საიდანაც მოვლა-ექსპლუატაციაზე გახარჯულია 499,956 ლარი, თამარის დასახლებაში სანაპიროს გასწვრივ დეკორატიული განათების რეაბილიტაცია - 1,558,313 ლარი.

⁵¹ წინა პერიოდის შესყიდვების შედეგად შეცვლილ ელექტრონათურებს და სხვა მასალებს გააჩნია საგარანტიო ვადები.

⁵² ნაჩვენებია შეცვლილად, ჯამში - 30,182 ცალი სხვადასხვა მახასიათებლის ნათურა, დროსელი და იგნატორი. წარმოდგენილია მხოლოდ 2021 წლის 30 სექტემბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში გახარჯული მასალების ჩამონათვალი, სადაც არ არის იდენტიფიცირებული, რომელი ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა სამუშაოები და უშუალოდ, რომელ რიცხვში. აღნიშნულ დოკუმენტებზე ერთ შემთხვევაში ხელს აწერს სხვა იურიდიული პირის - შპს „განათების“ ხელმძღვანელი.

⁵³ სამ შემთხვევაში განხორციელდა ცვლილება მოტივით, რომ მიმწოდებელს ამოეწურა სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული მასალები და მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალებით ჩანაცვლდა.

⁵⁴ ნათურების და დროსელის შეცვლა, შეკეთება, მონტაჟი.

⁵⁵ თამარის დასახლებაში სანაპიროს გასწვრივ რესტორან „ოქროს თევზიდან“ რესტორან „რივიერამდე“ დეკორატიული განათების რეაბილიტაცია, გოგებაშვილის და რუსთაველის ქუჩებზე გზაგამყოფ ზოლში არსებული პალმებისათვის დეკორატიული მინათების მოწყობა, აფხაზეთის ქუჩაზე და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში - გარე განათების მოწყობა.

⁵⁶ NAT210012525, შპს „აჭარგანათება“, ხელშეკრულება N76, 17.08.2021 წელი, ხელშეკრულების საერთო ფასი - 2,058,269 ლარი, მათ შორის, განათების მოწყობის ფასი - 1,558,313 ლარი.

⁵⁷ წარმოდგენილია მიმწოდებლის შპს „აჭარგანათების“ მიერ წარმოდგენილი პრეისკურანტი, რომელიც ასახავს 1 (ერთი) ერთეული სამუშაოს სავარაუდო ფასს - 9,171 ლარს. არ არის წარმოდგენილი დიფექტური აქტი, შესასრულებელი სამუშაოს სახეობა, მოცულობა, მასალის ტექნიკური პარამეტრები და მახასიათებლები, არსებული განათების სისტემის ვარგისიანობის შეფასების მტკიცებულებები და ხელშეკრულების საერთო ფასის განსაზღვრის დოკუმენტები.

დასკვნა	გარე განათების მომსახურების შესყიდვის დროს სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის მითითებული წერტილების ჩართვა-გამორთვის რეგულირება და განათების ჩართვა-გამორთვის გრაფიკი. ბაზრის სრულყოფილი კვლევის გარეშე დაუსაბუთებლად არის მიღებული გარე განათების წერტილების მომსახურების და მოწყობის სავარაუდო ფასი. ამასთანავე, პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებში, რომლებიც ანაზღაურების საფუძველი გახდა, რიგ შემთხვევებში არ იდენტიფიცირდება მომსახურებასთან დაკავშირებული პარამეტრები.
რეკომენდაცია N5 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ დანერგონ შიდა კონტროლის მექანიზმები, გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურებისათვის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად.
2.2.5 არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული შესყიდვა	კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁵⁸ სახელმწიფო შესყიდვის ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. სატენდერო კომისიამ მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. ფაქტობრივი გარემოება: ქალაქ ბათუმში, ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟისა და ახალი ელექტრონული ლიფტების მონტაჟის სამუშაოების შესრულებისათვის, კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ 2020 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი.⁵⁹ ორი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია, მათ შორის პირველი – არასაკმარისი გამოცდილების მოტივით; მეორე პრეტენდენტის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციით წარდგენილი ფასი შეადგენდა 533 721,46 ლარს, სატენდერო წინადადების ფასი – 530 000 ლარს. შემსყიდველის მიერ პრეტენდენტს ეთხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, თუმცა არ დააზუსტა და მიეცა დისკვალიფიკაცია; მესამე პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული დეტალური ხარჯთაღრიცხვების მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება შეადგენს 547,000 ლარს, ნაერთი ფასების ცხრილის მიხედვით წარმოდგენილია 545,000 ლარი და შეთავაზებული ფასიც შეადგენს 545,000 ლარს, თუმცა სატენდერო კომისიას არ უმსჯელია დეტალური ხარჯთაღრიცხვის, ნაერთი ფასების ცხრილის და შეთავაზების ფასს შორის

⁵⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 და 27-ე მუხლები.

⁵⁹ 25.08.2020 წელი, NAT 200013002, სავარაუდო ღირებულება - 550,620 ლარი. მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, ფასებით: შპს ELE - 440,497ლარი; შპს „პალადა“ - 530,000 ლარი; შპს „ბათუმი სიტი XXI“ - 454,000 ლარი.

	შეუსაბამობაზე და პრეტენდენტი დაზუსტების მოთხოვნის გარეშე გამოცხადებულია გამარჯვებულად. ⁶⁰
დასკვნა	ქალაქ ბათუმში, ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟისა და ახალი ელექტრონული ლიფტების მონტაჟის სამუშაოების შესყიდვის პროცესში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა, არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული.
რეკომენდაცია N6	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ერთგვაროვან მიდგომას.
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას	
2.2.6 დაუდასტურებლად ანაზღაურებული ხარჯები	კრიტერიუმი: ქალაქ ბათუმში, ქუჩების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით მომსახურება რეგულირდება მუნიციპალური სერვისების სააგენტოს⁶¹ და კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.⁶² სატენდერო წინადადებით, მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა განახორციელოს შესაბამისი ტექნოლოგიური პირობებით.⁶³ ფაქტობრივი გარემოება N1: მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, არაასფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები ეტაპობრივად, სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა ქალაქის ტერიტორიაზე და მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მიერ გადახდილია ჯამში 453,799 ლარი, მათ შორის, ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შეკეთებისათვის – 300,297 ლარი, ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის გარეშე შეკეთებისათვის – 111,561 ლარი, უვარგისი გრუნტის ამოღება და ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსებისათვის⁶⁴ – 41,941 ლარი. მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოღებული უვარგისი გრუნტის 5 კმ-ის მანძილზე გატანა, ასევე ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი მასალის გამოყენება წარმოდგენილი შიდა გადაზიდვის დოკუმენტებით არ დასტურდება.⁶⁵ ამასთანავე, შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, მხარეებს შორის შედგენილი ფარული სამუშაოს აქტებით ვერ დასტურდება სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების დრო.⁶⁶ ფაქტობრივი გარემოება N2: ასფალტირებული და რკინაბეტონის საფარის ქუჩების სარემონტო სამუშაოებში კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ გადახდილია ჯამში

⁶⁰ შპს „ბათუმი სიტი XXI“. ხელშეკრულება N87, 16.10.2020 წელი, ხელშეკრულების ფასი - 545,000, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება - 508,621 ლარი, სამუშაოს დასრულების ვადა - 31.03.2021 წელი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 30.06.2021 წელი.

⁶¹ არაასფალტირებული ქუჩები - NAT200019570, ხელშეკრულება: N20, 04.03.2021 წელი, გადახდილია - 264,917 ლარი; NAT210013130, N82, 24.08.2021 წელი, გადახდილია - 119,636 ლარი; NAT 210020537, N113, 03.12.2021წელი, გადახდილია - 69,246 ლარი.

⁶² ასფალტირებული ქუჩები - NAT190024059, ხელშეკრულება: N7, 16.01.2020 წელი, ხელშეკრულების ფასი - 1,138,675 ლარი, გადახდილია - 1,137,266 ლარი; NAT200018251, N4, 11.01.2021 წელი, ხელშეკრულების ფასი - 1,138,644 ლარი, გადახდილია - 866,173 ლარი.

⁶³ არაასფალტირებული - ღრმა ორმოებში პირველად უნდა ჩაიყაროს ქვიშა-ხრეშოვანი (ბალასტი) ნარევი და ზემოდან უნდა მოიყაროს 0-40 ფრაქციის ქვიშა-ლორღოვანი ნარევი. საშუალო სიღრმის ორმოები უნდა დამუშავდეს, შემდგომ უნდა განხორციელდეს 0-40 ფრაქციის ქვიშა-ლორღოვანი ნარევიტ მოშანდაკება. უნდა მოხდეს უვარგისი გრუნტის დამუშავება, გატანა და შევსება ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით; ასფალტირებული - ღრმა ორმოებში პირველად გამოყენებული უნდა იყოს 5-20 ფრაქციის ღორღი; შესაკეთებელი ორმო შეივსოს ასფალტის მასით; რკინაბეტონის ფილების შეკეთებისათვის უნდა მოხდეს ფილების დემონტაჟი, 5 სმ სისქის 0-3 ფრაქციის ქვიშის საფუძვლის მოწყობა და დემონტირებული ფილის მონტაჟი.

⁶⁴ ტექნიკური პირობა ითვალისწინებს უვარგისი გრუნტის დამუშავებას, შემდგომ დატვირთვას ავტოთვიტმცელზე, გატანას 5 კმ-ის მანძილზე და ორმოების ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსებას.

⁶⁵ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მიერ წარმოდგენილია მიმწოდებლების მიერ ქვიშა-ლორღის და ბალასტის გადაზიდვის 135 სასაქონლო ზედნადები.

⁶⁶ ფარული სამუშაოს აქტები ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან აქტების შედგენის დრო, სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო ერთი თარიღით არის რეგისტრირებული.

2,003,439 ლარი. აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მასალებით,⁶⁷ შესრულებული სამუშაოს მოცულობა არსებითად ნაკლებია, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებში ასახულ სამუშაოს მოცულობასთან. კერძოდ, 2020 წელს ქალაქის ქუჩებში ორმოების ცხელი ასფალტბეტონით შეკეთება ოთხ შემთხვევაში⁶⁸ ნაჩვენებია 11,380 კვ.მ, ხოლო ასფალტის შიდა გადაზიდვის ზედნადებებით და გათვალისწინებული ტექნოლოგიური პირობებით შესრულებოდა 3,296 კვ.მ-ით ნაკლები – 8,084 კვ.მ; ანალოგიურად, რკინაბეტონის ფილების დემონტაჟი და მონტაჟი 2020 წელს ნაჩვენებია შესრულებაში – 5,040 კვ.მ სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი სამშენებლო მასალების ზედნადებებით, ფაქტობრივად შესრულებოდა 3,180 კვ.მ-ით ნაკლები – 1,860 კვ.მ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ასფალტირებული და რკინაბეტონის საფარის ქუჩების სარემონტო სამუშაოების ფაქტობრივად შესრულება რიგ შემთხვევებში⁶⁹ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

დასკვნა

ქუჩების რემონტისათვის გათვალისწინებული სამშენებლო მასალების შესყიდვის, გადაზიდვის, უვარგისი გრუნტის დამუშავების და გატანის, ასევე სამუშაოს ფაქტობრივად შესრულების პერიოდის დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე, გადახდილია სამუშაოების ღირებულება.

რეკომენდაცია N7

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს განსახორციელებელ სამუშაოებზე სათანადო მონიტორინგს და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით თანხების ანაზღაურებას. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სათანადო დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულ თანხებთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს

ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტოს

აუდიტორები

ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე
მთავარი აუდიტორი
ზვიად ვარშალომიძე
აუდიტორი
რუსუდან ბოლქვაძე
აუდიტორ-ასისტენტი

ნ. ბოლქვაძე
ზ. ვარშალომიძე
რ. ბოლქვაძე

⁶⁷ წერილი N43, 02.04.2022 წელი, მიმწოდებლის შპს „გზების“ მიერ გარე დადასტურებით წარმოდგენილია ქალაქის ქუჩებში, ხელშეკრულების ფარგლებში გამოყენებული ასფალტის მასის და ქვიშა-ლორდის შიდა გადაზიდვის სასაქონლო ზედნადებები.

⁶⁸ იანვარი - 36,949 ლარი; მარტი - 17,191 ლარი; აპრილი - 40,282 ლარი; ივლისი - 29,203 ლარი, ჯამში - 123,625 ლარი.

⁶⁹ სამუშაოების ღირებულება - 131, 861 ლარი.

დანართები

დანართი N1. ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულება

დასახელება	2020 წელი				2021 წელი			
	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა	შესრულების %
გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	1 337 200	1 311 284	25 916	98,06	1 638 800	891 523	747 277	54,40
საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	26 988 100	23 921 571	3 066 529	88,64	42 439 600	31 238 505	11 201 095	73,61
გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	1 857 500	1 714 575	142 925	92,31	4 093 100	3 992 929	100 171	97,55
სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	7 384 500	6 291 791	1 092 709	85,20	10 422 500	7 810 528	2 611 972	74,94
წყლის სისტემების რეაბილიტაცია	277 100	259 550	17 550	93,67	48 500	48 464	36	99,93
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	3 885 400	3 586 445	298 955	92,31	8 247 000	7 302 334	944 666	88,55
საცხოვრებელი სახლების მშენებლობა	1 554 000	1 341 755	212 245	86,34	1 805 900	183 942	1 621 958	10,19
ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	1 473 200	1 327 161	146 039	90,09	1 480 700	1 385 468	95 232	93,57
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა	529 800	463 591	66 209	87,50	1 119 800	725 486	394 314	64,79
ქალაქის კეთილმოწყობა	549 000	506 354	42 647	92,23	1 139 300	709 116	430 184	62,24
ჯამი	45 835 800	40 724 076	5 111 724	88,85	72 435 200	54 288 293	18 146 907	74,95

დანართი N2. სამშენებლო სამუშაოები

შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება (SPA, NAT, CMR)	მიმწოდებლის დასახელება	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	ხელშეკრულება		ფაქტობრივი შესრულება	ფარული სამუშაოების ღირებულება
				N	ღირებულება		
ქ. ბათუმში, ასფალტირებული და რკინაბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	NAT 190024059	შპს „გზები“	1 138 680	7	1 138 675	1 137 266	

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	NAT 190024804	შპს „ბონდი-2009“	919 996	14	919 996	914 056	
ქ. ბათუმში, სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია	NAT 190023647	შპს „ბათუმის წყალი“	1 730 000	15	1 730 000	1 730 000	
ქ. ბათუმში, გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია	NAT 200001066	შპს „აჭარგანათება“	1 449 922	18	1 449 922	1 359 790	
ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქუჩის, აკაკი შანიძის პირველი ჩიხის, კაკი შანიძის III ჩიხისა და ჯაყელის ქუჩის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	NAT 200000917	შპს „გზები“	2 185 092	25	2 160 136	1 688 496	1 089 075
ქ. ბათუმში, ახალი ბულვარიდან აეროპორტის გზატკეცილამდე, მეჯინის არხის გასწვრივ კედლების მოწყობის სამუშაოები	NAT 200001791	შპს „იბერია-ჯ“	2 287 533	32	1 749 999	1 699 024	1 211 996
ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის II ჩიხის რეაბილიტაციის, ვარშანიძის, ოძელაშვილის, ჯავახიშვილის I და II შესახვევის და სარაჯიშვილის ქუჩების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა	NAT 200002190	შპს „ზიმო-7“	2 284 289	33	1 915 812	1 759 617	890 681
ქ. ბათუმში, ი. გაგარინის ქუჩის მონაკვეთისა და ი. გაგარინის ქუჩიდან გ. ლეონიძის ქუჩამდე დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობის სამუშაოები	NAT 200005557	შპს „ნიუპოვერ“	2 028 478	47	1 622 783	1 616 818	1 288 218
ქ. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (მეოთხე ფაზის) ფარგლებში მიმდინარე წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ დაზიანებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები	NAT 200005581	შპს „გზები“	1 999 970	48	1 979 946	1 979 939	611 506
ქ. ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩიდან ინასარიძის ქუჩის N23-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები	NAT 200005706	შპს „ბონდი-2009“	1 325 876	52	1 312 599	1 206 719	557 557
ქ. ბათუმში, დ. სვიშვესკის ქუჩის კეთილმოწყობა: დ. სვიშვესკის I შესახვევის, I და II ჩიხის კეთილმოწყობის, აფსაროსის გზატკეცილის II შესახვევის N1-დან 23-მდე მონაკვეთის კეთილმოწყობის (სანიაღვრეთი) სამუშაოების შესყიდვა (2020-2021 წწ. სახსრებით)	NAT 200011245	შპს „პალადა“,	3 047 510	71	2 396 895	2 143 575	1 256 075
ქ. ბათუმში, გზაგამყოფ ზოლებში მოაჯირების მოწყობა და ხიდბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია (2020-2021 წლების სახსრებით)	NAT 200013201	შპს „ხელვაჩაურის საგზაო“	1 188 808	78	1 172 799	1 103 604	671 113
ქ. ბათუმში, ი. კობლაძის ქუჩა N9-ის მიმდებარე (ს.კ. 05.24.07.032) მიწის ნაკვეთზე სკვერის მოწყობა; შ. ინასარიძის ქუჩა N3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; რურუას ქ. N3-ის მიმდებარედ ეზოს კეთილმოწყობა (2020-2021 წლების სახსრებით)	NAT 200013412	შპს „მონოლითი-2005“	1 605 357	82	1 296 956	1 259 995	381 348
ქ. ბათუმში, სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები (2020-2021 წლების სახსრებით)	NAT 200013154	შპს „ბონდი-2009“	1 250 848	83	1 199 999	1 091 929	656 869

ქ. ბათუმში, სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები (2020-2021 წლების სახსრები)	NAT 200013414	შპს „მონოლითი-2005“	1 498 198	84	1 199 998	1 090 447	495 992
ქ. ბათუმში, ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (2020-2021 წლების სახსრები)	NAT 200013416	შპს „ზიმო-7“	1 867 779	85	1 768 542	1 639 376	849 902
ქ. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (მეოთხე ფაზის) ფარგლებში მიმდინარე წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ დაზიანებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები	NAT 200012935	შპს „გზები“	3 019 351	88	2 415 479	2 415 388	787 488
ქ. ბათუმში ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (2020-2021 წლების სახსრები)	NAT 200013415	შპს „გზები“	1 782 747	89	1 729 993	1 624 342	797 327
ქ. ბათუმში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები (2020-2021 წლების სახსრები)	NAT 200014530	შპს „ბონდი-2009“	1 907 819	92	1 794 999	1 654 538	918 214
ქ. ბათუმში ასფალტირებული და რკინაბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	NAT 200018251	შპს „გზები“	1 138 800	4	1 138 644	1 138 644	
ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (ასფალტი, ფილა, ბორდიური, ჭეხის მოყვანა პროფილზე)	NAT 200018253	შპს „ერ ტე დე“	1 170 000	5	1 070 000	1 070 000	
ქ. ბათუმში, გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია	NAT 200018806	შპს „აჭარგანათება“	1 450 000	8	1 450 000	1 449 873	
ქ. ბათუმში, ანგისის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები	NAT 210001998	შპს „ბონდი-2009“	2 319 555	19	1 856 644	1 770 371	775 737
ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩის (შარტავას წრიულიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩამდე) რეაბილიტაციის სამუშაოები (2021-2022 წლები)	NAT 210001554	შპს „ზიმო-7“	11 867 002	21	8 646 624	2 120 554	2 095 683
ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩის გაგრძელება გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩამდე კეთილმოწყობის სამუშაოები	NAT 210001182	შპს „პალადა“	2 360 028	22	1 844 953	1 003 203	680 172
ქ. ბათუმში, მეჯინის არხზე აეროპორტის გზატკეცილის ხიდიდან გ. ლორთქიფანიძის 150 ^ბ -მდე (არხის ორივე სანაპიროზე) და გ. ლორთქიფანიძის N150 ^ბ -დან გ. ლორთქიფანიძის N25-მდე (მარცხენა სანაპირო) დამცავი კედლის მოწყობა; აეროპორტის გზატკეცილიდან ბეთლემის ქუჩამდე მეჯინისწყლის არხზე დამცავი კედლის მოწყობა	NAT 210002001	შპს „როუდ ქონსტრაქშენ“	2 820 078	26	2 256 063	2 256 063	810 165
ქ. ბათუმში, გოგოლის ქუჩის მონაკვეთის (წმ. დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებლის ქუჩიდან ი. ნონეშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები, ნ. გოგოლის ქუჩაზე არსებული ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები, ე.წ. „ბარცხანის ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები	NAT 210004234	შპს „ბონდი-2009“	2 718 690	31	2 582 697	2 575 924	1 404 670

ქ. ბათუმში, ვიდუოსათვალთვალო კამერების შეძენა-მონტაჟი	NAT 210004699	შპს „დელტა კონსალტინგი“	1 199 160	33	1 132 260	1 132 260	
ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონის მიმდებარედ (ადგილობრივი მნიშვნელობის გზის - „მახოს ხიდი“, გონიოს ხიდისა და „გეზის“ მიმდებარედ) მთავარი და მეორეხარისხოვანი გზების მშენებლობა-მოწყობის სამუშაოები	NAT 210002751	შპს New Road	18 138 578	35	13 588 887	1 504 941	1 342 498
ქ. ბათუმში, სულაბერიძის ქუჩის მონაკვეთის (ბაგრატიონის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე) მიმართულებით (I ეტაპი) სამუშაოები	NAT 210004253	შპს „ბონდი- 2009“	1 812 144	42	1 340 877	1 263 494	832 101
ქ. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების (მე-4 ფაზის) ფარგლებში მიმდინარე წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ დაზიანებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები მეორე ეტაპი (2021-2022 წლების სახსრები)	NAT 210008118	შპს „ბონდი- 2009“	1 849 979	49	1 553 899	1 467 425	669 073
სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები	NAT 210002000	შპს „ნიკა“	1 168 113	53	1 122 222	1 039 719	828 751
ქ. ბათუმში, სულაბერიძის ქუჩის მონაკვეთის, ბაგრატიონის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე მიმართულებით, II ეტაპი (გიორგი სააკაძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები	NAT 210011903	შპს „ბონდი- 2009“	3 733 389	73	2 899 985	2 700 453	2 124 131
ქ. ბათუმში გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია	NAT 210012524	შპს „აჭარგანათება“	2 060 000	76	2 060 000	2 058 269	
ქ. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების (მე-4 ფაზის) ფარგლებში მიმდინარე წყალარინების სისტემის სამუშაოების შემდეგ დაზიანებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები	NAT 210015664	შპს „გზები“	1 604 236	104	1 323 387	1 323 387	627 657
ჯამი			91 928 005		76 822 671	54 989 500	24 653 999

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE